ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
SAMTREDIA MUNICIPALITI SITY HALL

წერილის ნომერი: **62-622134469**
თარიღი: **10/12/2021**
პინი: **2032**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ კახაბერ კუჭავას

ბატონო კახაბერ, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 49-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე:

ა) საანგარიშო პერიოდში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 51 (ორმოცდათერთმეტი) წერილი, საჯარო ინფორმაციის შესწორების შეტანის მოთხოვნით - 0;

ბ) დადებითი პასუხით დაკმაყოფილდა 51 (ორმოცდათერთმეტი) წერილი, ხოლო უარყოფითი პასუხით 0;

გ) მერიამ ყველა შემთხვევაში საჯარო ინფორმაცია გასცა უსასყიდლოდ;

დ) საანგარიშო პერიოდში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს დისციპლინური სახდელი არ დაკისრებიათ;

ე) მერიას გააჩნია მოხელეთა პერსონალურ მონაცემების, კონკურსანტთა და სტაჟიორთა პერსონალურ მონაცემების შემცველი ბაზა. ზემოაღნიშნულ ბაზებზე წვდომა გააჩნიათ მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (პასუხისმგებელ პირებს);

ვ) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილი საჯარო მოხელეა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ია ხოშტარია.

დავით ბახტაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი